კონფორმულობის გავლენა მონაცემთა გაყალბებაზე ქცევითი თერაპიის ჩატარების დროს

ნატო სამადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.”

ნატო სამადაშვილი ----------

20.06.2018

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია განსაზღვროს კონფორმულობის გავლენა ქცევითი თერაპიის ჩატარების დროს მონაცემთა გაყალბებაზე. კვლევის ფარგლებში განხილულია კონფორმულობის ისტორიული და თანამედროვე კონტექსტი, კერძოდ ჯგუფის გავლენის ტენდენციები ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების დროს. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო"-ში დასაქმებული ქცევითი თერაპევტების და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტების მიერ მიღებულ მონაცემებზე. კვლევის დიზაინი არის ექსპერიმენტული. მოცემული საკითხი რელევანტურია, რადგან არსებობს ეჭვი, რომ კონფორმულობა ნეგატიურ გავლენას ახდენს პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ქულათა ობიექტურად აღრიცხვის პროცესზე, რაც თავისმხრივ, თერაპიაში მონაწილე კლიენტის ინდივიდუალურ დასწავლის არასწორ სურათს წარმოაჩენს. აღნიშნული ნაშრომი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ და კრიტიკულად შევხედოთ მონაცემთა შეგროვების პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა და მომავალში მის პრევენციაზე ვიმსჯელოთ. კვლევის მონაცემებიდან დასტურდება, რომ კონფორმულობას ადგილი აქვს ქცევითი თერაპიის დროს, მონაცემთა აღრიცხვის პროცესზე, თუმცა ცდის პირთა მცირე რაოდენობა არ გვაძლევს საშუალებას აღნიშნულ ფენომენზე ვისაუბროთ ზოგადი რეპრეზენტაციის კონტექსტში, რაც მომდევნო მსჯელობის საკითხს წარმოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონფორმულობა, ქცევითი თერაპია, მონაცემები

Abstract

The main purpose of this research is to determine the influence of conformity on the data falsification while doing behavioral therapy. This research examines the historical and contemporary context of conformity, especially caused by group influence, while making individual decisions. The data presented in this paper is based on obtained scores by the behavioral therapists employed in NGO "First Step Georgia". Research design is experimental. This issue is relevant because there is a doubt that conformity has a negative effect on the objective record of scores while performaning professional activities, which reflects in incorrect picture of client's participation in therapy. This work allows us to identify and critically look at the data collection process and in the future think about preventing the obstacles.

From obtained data it appears that conformity does exists while doing behavior theraphy, in the process of data collaction. Despite this, a few amount of people who had participated in mentioned research, can't let us talk about general representation context, which is next matter of discussion.

Key words: Behavior Therapy, Conformity, Data

მადლობა

მსურს მადლიერება გამოვხატო აღნიშნული ნაშრომის ხელმძღვანელის, ქ. ნ ნატა მეფარიშვილის მიმართ. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ნაშრომის ფორმირების და სწორი მიმართულებით წარმართვის პროცესში.

ასევე მადლობელი ვარ ორგანიზაციის „პირველი ნაბიჯი საქართველო“-ს, რომელმაც დახმარება გამიწია კვლევის მონაცემების შეგროვების პროცესში.